ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 113

ქალაქი ქუთაისი 3 ოქტომბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, გრიშაშვილის ქუჩა და გრიშაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის N4/1-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „$მ^2$ ქუთაისის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასტუმროსა და საოფისე შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 22-ე მუხლისა და 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, გრიშაშვილის ქუჩა და გრიშაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის N4/1-ში მდებარე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „$მ^2$ ქუთაისის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასტუმროსა და საოფისე შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „$მ^2$ ქუთაისის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთში, სასტუმროსა და საოფისე შენობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია